სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

04 მარტი 2024

N 30

კონკურსის „სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური ან ანიმაციური ფილმის წარმოების ფინანსური მხარდაჭერა“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ

“საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/257 ბრძანებით დამტკიცებული დებულების პირველი მუხლის მე-2 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 07 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2024 წლის 4 მარტს, გამოცხადდეს კონკურსი „სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური ან ანიმაციური ფილმის წარმოების ფინანსური მხარდაჭერა“ და დამტკიცდეს საკონკურსო პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს საკონკურსო განაცხადები წარედგინება შემდეგნაირად:

ა) ელექტრონული განაცხადი (დანართი №1);

ბ) ბიუჯეტი (დანართი №2);

გ) ფინანსური გეგმა (დანართი №3).

3. დაევალოს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ლოჯისტიკის მენეჯერს კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი